წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. შაბათი, 3 ოქტომბერი 1915 წ. № 107

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакці „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ელირება 5 მანეთი.

## „საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ოქტომბრიდან წლის დამლევამდე ღირს 2 მ.—70 კ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

---

დღეს, შაბათს, 3 ოქტომბერს 1915 წელს თბილისის არტისტიულ საზოგადოების დარბაზში

## მგოსანი კონსტანტ. ბალმონტი
გამართავს შოთა რუსთაველის
## საღამოს

1) შესავალი სიტყვა კ. ლ. ბალმონტისა. 2) რამდენიმე თავი შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსნიდან“ თარგმანი კ. ლ. ბალმონტისა. 3) დასკვნა კ. ლ. ბალმონტისა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ბილეთები წინდაწინ იყიდება ბ. ყანჩელთან: მოსკოვის ქუჩა 20, ტელეფონი 17—11, ხოლო საღამოთი არტისტიულ საზოგადოების დარბაზის შესავალში.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

---

## თბილისის მესამე შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობამ უკვე დაიწყო მოქმედება ამა სექტემბრის 20-დან.

მისამართი: ოლგას ქუჩა, სახლი დიასამიძისა, № 4.

თბილისის მესამე შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის გამგეობა მიჰმართავს ტყის მეპატრონეებს, რა ფასებში შეუძლიათ ჩაგვაბარონ ადგილობრივ, ან რკინის გზის მახლობელ სადგურზე წიფლის შეშა საჟენობით, რომელიც საჭიროა ქართველ მეპურეებისათვის. შეშა უსათუოდ უნდა იყოს ხმელი. გამგეობა იწვევს აგრეთვე ადგილობრივ მეპურეებს, ვისაც სურვილი აქვთ შეშის შეძენისა, ახლავე ჩაეწერონ სიაში და დაწესებული ბე შემოიტანონ. კონტორა ღიაა დილის 11 ს. შუადღ. 3 ს.

---

სახელოსნოს ქალაქში სხვა განყოფილება არ მოეპოვება.

## ვკისრულობთ
გადავაკეთოთ, გავწმინდოთ და ახლათ შევღებოთ საქალებო და სავაჟო
## ქუდები

სპეციალურად ვწმენდავთ სავაჟო „კოტელოკებს“ და „ცილინდრებს“.

აგრეთვე ვწმენდავთ პლიუშს, ხავერდს, და ვაჟენებთ გინგლს.

ვახუჭუჭებთ და ვწმენდავთ სირაქლემას ფრთას და ბოას.

ქუდების სახელოსნო დ. გ. გვახარიასი
გოლოვინის პროსპ. № 39.

სახელოსნოს ქალაქში სხვა განყოფილება არ მოეპოვება.

---

## გადაწერას საწერ მანქანის
საშვალებით და საწერ **მანქანაზე**
მუშაობის სწავლებას
ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს
## ი. თ. ბვათუას კანტორა
ვერის დაღ[illegible]თი № 1
ტელეფონი 17—05

---

## დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—6 საათ, ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

---

კბილის ექიმმა
## მამულაიშვილი
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

---

ძ. გორაძე
## ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი
იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.
აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

---

ექიმი
## გ. მ. მუხაძე
იღებს **სადოსტაქრო** ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: ტატიანის ქუჩა მიხეილის ქუჩის ახლო, სახლი 6. ზემო სართული. ტელეფონი № 3—92.

---

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
## ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

---

ექიმი
## მ. დ. წინამძღვრიშვილი
**ყ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქუჩა № 36, მეორე სართული.

---

„ახალი კლუბის“
## მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ 1 ამა ოქტომბრის თვიდან კლუბი საზამთრო შენობაში გადმოვიდა; აღნიშნულ დღიდან სასეზონო ბილეთები გაუქმებულია და ყველა იმ პირთ, ვინც ასეთი ბილეთებით სარგებლობდნენ შეუძლიანთ კლუბში სიარული საზოგადო წესით. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით გაიმართება **სინემატოგრაფი**. კვირაში ხუთს დღეს დაუკრავს **სიმებიანი ორკესტრი, ხოლო ხუთშაბათობით და კვირაობით სამხედრო მუსიკა.**

სინემატოგრაფების დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

---

ახლად დაარსებული საამხანაგო

## ფქვილის საწყობი „რაჭა“

ჰყიდის მეპურეებზე და კერძო პირებზე ფქვილს ხელმისაწვდომ ფასებში. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 3. —9

---

## ამერიკული ვაზი

თ. დ. ჩოლოყაშვილის ჭიაურის მამულში, კახეთში, სიღნაღის მაზრაში, გაშენებულ სანერგეში იყიდება სხვა და სხვა ჯიშის **ამერიკული ვაზის რქა** და სამყნელად მომზადებული იმავე ვაზის **ფესვიანი ძირები**; აქვე იყიდება **გარეული კომშის ნერგი სამყნობად.**

შეკვეთა და პირობების გაგება შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ, улица Бѣлинскаго, № 2, Ираклію Тазіеву. 10—2

---

## პროვინციელ აგენტების საყურადღებოდ

აცხადებს გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია, რომ პირველ ოქტომბრიდან გაზეთი „საქართველო“ გადაეცა კანტორა „განათლებას“. თუ, რომელიმე აგენტს, რამდენი სჭირია ხსენებული გაზეთი, დაუყოვნებლივ აცნობოს კანტორა „განათლებას“.

„საქართველოს“ რედაქცია.

---

## არჩევნების წინ

ისტორიის ბრუნვამ ისე მოაწყო საქართველოს ცხოვრება, რომ ინტელიგენციისა და ხალხის ენერგია თითქმის სავსებით უნდა შეელიოს და მოხმარდეს თვით ყოფნის დედა-პირობის განმტკიცებას: ერის ფიზოლოგიურ არსებობის შენახვას და ეროვნობის პირველ საზღვრულ სახიერების დაცვას.

თავი და თავი საკითხი—ეროვნული ტყავის შენარჩუნებაა.

ქვეყნის ცოცხალი ენერგია ვერ აღწევს იმ საფეხურამდე, რომ იგი იხარჯებოდეს ერის ნივთიერი და სულიერი კულტურის შესაქმნელად. ზრუნვა ყველა იმ პირობის შესარჩენად, რომელიც საჭიროა ერის ფიზიკურ ტიპის დასაცავად, თითქმის სულ ერთიანად ნთქავს საქართველოს ძალღონეს. ამიტომაც ქვეყნის კულტურული გაშინაარსიანება, მისი გამდიდრება სულიერ-ნივთიერად ძალზედ, მეტის-მეტ შეფერხებულია. შემოქმედება ერისა, მიზნამდე მიუღწეველი, ბნელში იხუთება და იხშობა გამოუცხადებლივ. ეროვნული მოქალაქობრიობა შებორკილია და აწინდელი საქართველოს ღვაწლი, ეროვნულ-კულტურულ განძისა და დოვლათის შეძენის თვალით რომ გავზომოთ მეტის-მეტი ჩამორჩენილია და ჩამოქვეითებული. სხვაფრივ შეუძლებელია იყოს. ერს ჯერ ამისთვის ვერ მოუცლია და ვერც თუ ასე მალე მოიცლის. აქ მარხია მიზეზი ჩვენი კულტურული უძრაობისა, აქ არის დასაბამი მთელი ერის დიდი სულიერი ტრაგიზმისა. საქართველო, ბედის ანაწერით, იმ თავიდან ამ თავამდე ყოფნა-არყოფნის საკითხის გარშემო ტრიალებს. ჩვენი ფრთა-ასხმული წარმატება და სწრაფი დაწინაურება მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც საქართველოც, როგორც სხვა დანარჩენი ქვეყანა, რომლის კულტურული შემოქმედება მაღლიანად სცემს, ამ სხვა ქვეყნის მზგავსად, მტკიცედ იდგომება ეროვნულად, სახე-პიროვნება დაცული და ხელშეუხებელი; მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ მხრივ უზრუნველყოფილი, ისიც მთელ ძალა-ენერგიას, როგორც სხვა ქვეყანა, შემოქმედებას დაუთმობს, მას შეალევს. მანამ ბევრის იმედი არ უნდ ვიქონიოთ და საზრუნავად ისიც გვეყოფა რომ მთავარი ეროვნული ატრიბუტები დავიცვათ. რჩეთ ტიალ დროის ბრუნვას, შევირჩინოთ სახე და მიწა მშობელი, დავიცვათ ერის სხეულის მთლიანობა, დ ასე დაცული საქართველო გადავსცეთ მომავალ თაობას. დაე, ჩვენ ვიყოთ უკანასკნელი მსხვერპლი წარსულის ანდერძისა, რომელიც მემკვიდრეობის ურყევი კანონით, დაუკითხავად იწირავს ყველა ახალშობილს. ჯერ კი ჩვენ ჩვენს საქმეს და ჩვენს პოზიციებს მივაშუროთ.

ს. კ—დია.

---

## ბალკანეთის მდგომარეობა

ლომისა და კოლოსი არ იყოს, დღეს ბუმბერაზ ევროპის სახელმწიფოებს მცირე და სუსტ ბალკანეთის სახელმწიფოებთან შებმა მეტად საგრძნობელად და საშიშრად მიაჩნიათ. დიდ სახელმწიფოებს ძლიერ ეშინიათ რომ ამ სუსტმა სახელმწიფოებმა ამ დროს შერჩევით მძლავრი ლომები გულდაღმა არ დასცენ. მართლაც საქმე დასაფიქრებელია. ის რაც ჯერ ვერ გათავდა ძლიერთა მიწა წყალზე შეხლა-შემოხლით და უზარმაზარი ომებით, ადვილი შესაძლებელია მცირე სახელმწიფოების ომში ჩარევით ერთი ორად დაჩქარდეს და გენერალური ომი და ძლევა მოსილობა აქედან გამოიჭედ.

ჩვენს გაზეთში ამას წინად ბულგარეთის მობილიზაციის დროს ვამბობდით, რუმინია ვერ გაბედავს ეხლავ ომსათქო. შესაძლებელია საბერძნეთმა ძალა უნებლიეთ შემოუშვას მოკავშირეები თავის ტერიტორიაზე, მაგრამ ომში ჩარევის სურვილი შეთანხმების სახელმწიფოების სასარგებლოდ არა აქვსთქო.

დღეს ეს უკვე ცხადია და ამას თვით შეთანხმების სახელმწიფონიც აღიარებენ. მაგრამ საინტერესო ისაა თუ რა გზას დაადგებიან მომავალში საბერძნეთი და რუმინეთი? შეინახავენ ბოლომდის ნეიტრალიტეტს თუ არა. და თუ დაარღვიეს ვის მიემხრობიან?

ჩვენის ფიქრით ეს საკითხები იმდენათ რთულია, რომ გადაჭრილი წინასწარმეტყველური პასუხის მიცემა ძნელია, მხოლოდ იმის დაკვალად რასაც დღესა ვხედავთ, მომავალში რუმინეთის და საბერძნეთის მოქმედება სრულებით დამოკიდებული იქნება ომის მსვლელობაზე ე. ი. იმაზე თუ რომელი მხარე გაიმარჯვებს.

რუმინეთი დღეს, ძლიერაც რომ მომხრე იყვეს შეთანხმების სახელმწიფოებისა, ძლიერ საშიშ მდგომარეობაშია, რადგანაც ისეთი რკალი აქვს შემორტყმული, რომ მას გერმანეთი, ავსტრო-უნგრეთი, ბულგარეთი და ოსმალეთი მტვრად აქცევენ. ამიტომ ის, მაშინაც კი, ვიმეორებთ, რომ შეთანხმების სახელმწიფოების დახმარების სურვილითაც რომ იყვეს გამსჭვალული, ძნელად თუ ჩაერიოს ომში.

მაგრამ დღეს, როდესაც არც სურვილი აქვს მაინც და მაინც ომში ჩარევისა და სისხლის ღვრისა, არც ტახტის მპყრობელი უცქერის კარგის თვალით შეთანხმების სახელმწიფოებს, როგორც გერმანეთის მონათესავე მეფე და მესამედ მაინც და მაინც არც რუმინეთის ინტერესები მოითხოვს შეთანხმების სახელმწიფოების შავზღვაზე და დარდანელში დამყარებას, ცხადია, რუმინეთი შეთანხმების სასარგებლოდ არ დააჩქარებს ომში ჩარევას; მხოლოდ თუ კი საქმე სხვანაირად დატრიალდა და გერმანეთი და ავსტრო-უნგრეთი ძლიერ დამარცხდნენ, ასე რომ შეთანხმების სახელმწიფოების ბრძანების მონები შეიქმნენ, რუმინეთიც იმ დროისთვის შეიჭრება ავსტრო-უნგრეთში და ბულგარეთში და ,,მშრომელი'' ბუზისა არ იყოს, თვითონაც ჩაერევა მარაქაში და ეტყვის შეთანხმების სახელმწიფოებს, მეც თქვენთან ვხნავდი, აბა კარგი წილი მომიზომეთო. მაგრამ თუ ფორტუნამ კვლავ პირი გერმანეთ-ავსტრო-უნგრეთის და ოსმალეთ - ბულგარეთისკენ დაიჭირა, რუმინეთი იმ დრომდე არ ამოიღებს ხმას, ვიდრე რუსეთი არ იქნება დამარცხებული. მაშინ რუმინეთიც შემოიჭრება ბესარაბიაში; აფრენს ჯარებს სერბიისაკენაც, რომ მოკავშირე სახელმწიფოებსაც ისე დაანახვოს თავისი მშრომელი თავი, როგორც გამარჯვებულ შეთანხმების სახელმწიფოებს მოაჩვენებდა.

შესაძლებელია, და უამისობა რასაკვირველია, არც იქნება, რომ რუმინეთს ათასნაირი პირობები ჰქონდეს ორთავე მოპირდაპირე მხარეებთან, მაგრამ რუმინეთის მდგომარეობა ისეთია რომ ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდება სადმე შეესიოს, რომ გადარჩეს რასმეს და გაძლიერდეს. უამისობა კი არ არგია, რადგანაც საქმე ისე მიდის, რომ მაშინ ან სერბეთი და ან გამარჯვებული ბულგარეთი თავის სათამაშო ბურთად გაიხდიან და გაუბატონდებიან დღეს მათზე ძლიერს რუმინეთს.

თითქმის ეგეთივე პირობებშია საბერძნეთიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ დღეს რუმინეთი ავსტრო-უნგრეთ-გერმანეთის, ბულგარეთის და ოსმალეთის რკინის რკალშია მოქცეული, საბერძნეთი შეთანხმების სახელმწიფოთა რკალშია შეჭედილი, მაგრამ შეიძლება საბერძნეთი უფრო მალე ჩაერიოს საქმეში, ეს იმ შემთხვევაში, თუ ბულგარეთმა მაკედონია ჩაიგდო ხელში და ადრიატიკის ზღვაზე გამოვიდა ე. ი. საბერძნეთს თავზე მოექცა გაძლიერებული ბულგარეთი, მაშინ იმას არსაიდგან ახალი ადგილის შეძენა და გაძლიერებაზე ხომ ოცნებაც აღარ შეეძლება; აგრეთვე დაემართება მაშინაც, თუ შეთანხმების სახელმწიფოებმა გაიმარჯვეს, მაშინ, რასაკვირველია, საბერძნეთს დარდანელთან არ გააკარებენ დიდი სახელმწიფოები, დამარცხებულ ბულგარეთს სერბეთი გადაუჭრის ეგეოსის ზღვაში ჩასასვლელ გზას, ალბანეთისაკენ შეიძლება იტალიამ რამე წაიღოს და საბერძნეთი დარჩება თავის გატეხილ ვობთან.

ამიტომ ამ ორი ბალკანეთის სახელმწიფოს მოქმედება სულ იმაზე იქნება დამოკიდებული თუ რომელი მხარე გაიმარჯვებს რომ გამარჯვებულებს ,,მოეხმარონ''.

ამასთანავე ადვილად შესაძლებელია და, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ასეც იქნება, რომ გენერალური ომი აქ მოხდეს და მთელი ომის ბედიც აქეთ გადასწყდეს.

აქეთკენ ინგლისის დამარცხება, თითქმის ნახევრად იმის სიკვდილს მოასწავებს; რადგანაც, მაშინ ის მთელ აღმოსავლეთში დამარცხდება და ეს კი გამოგლეჯს ხელიდან ეგვიპტეს, ინდოეთს და თვით ავსტრალიასა და ხმელთა შუა ზღვასაც. თუმც ნაკლები, მაგრამ არა უფრო მცირე მნიშვნელოვანი იქნება საფრანგეთისათვის ბალკანეთ-დარდანელში დამარცხება, რადგანაც მაშინ, როგორცა ვთქვით, ინგლისი წელში გატყდება და რუსეთიც ძლიერ შევიწროვდება.

რუსეთიც, თქმა არ უნდა ძლიერ ცუდ მდგომარეობაში ჩავარდება,

მაშინ კი ომი დასრულებულად ან დასასრულთან ახლოს მოსულად უნდა ჩავთვალოთ; მხოლოდ ასეთივე შედეგი არ ექნება ომის წაგებას დარდანელში და ბალკანეთზე ავსტრო-უნგრეთისა და გერმანეთისათვის, რადგანაც ავსტრო-უნგრეთის და გერმანეთის ტერიტორია მაინც ხელშეუხებელი რჩება და მათი საზღვრების გადალახვა საჭირო იქნება თუნდაც ბალკანეთში და დარდანელში ომი შეთანხმების სახელმწიფოებმა მოიგონ. ამ ნაირად, ბალკანეთის და დარდანელის ომი უფრო სახიფათო და საშიშია შეთანხმების სახელმწიფოებისა და ბულგარეთ-ოსმალეთისათვის, თორემ ავსტრო-უნგრეთისათვის და გერმანელებისთვის აქ დამარცხება კიდევ ომის წაგება არ იქნება.

გი—გო.

# ომის ამბები

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ბულგარეთის სათადარიგო ჯარისკაცები.**

რუმინეთმა ნება დართო ბულგარეთს გაატაროს თავის ტერიტორიაზედ 6000 ამობილებული ბულგარი, რომლებიც გერმანიიდან მოდიან. რომ მათ შორის გერმანელი ოფიცრები არ გაეპარონ, რუმინეთის მთავრობა მეტად მკაცრად სინჯავს ჯარისკაცთა ოფიციალ ქაღალდებს.

—

დუნაიზე და სავაზე გადასული გერმანელთა ჯარის რიცხვი 150 ათასს აღწევს.

**ბულგარეთი საბერძნეთს არ დაესხმის.**

იტალიური გაზეთი „Giornale d' Jtalia“ სალონიკიდან იუწყება: იმპერატორმა ვილჰელმა დააჯერა საბერძნეთის მეფე რომ ბულგარეთი არამც და არამც საბერძნეთის წინაამდეგ არ გაილაშქრებსო. იგი მხოლოდ სერბეთსა და მაკედონიას დაეცემა, და როდესაც გერმანეთი ძლევა მოსილი შევა სერბეთში საბერძნეთი თავის ნეიტრალობას არ გადაუხვევსო.

—

ლონდონის გაზეთ „Times“-ის აზრით ბულგარეთის ჯარში ამ ჟამად სამიათასი ოფიცერი და უნტერ-ოფიცერი იმყოფება.

**საბერძნეთის ნეიტრალობა.**

ზაიმინმა, საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, საბერძნეთი დაიცავს ოთხთა შეთანხმებისთვის ხელსაყრელ ნეიტრალობასო; ომში მონაწილეობას კი არ მიიღებსო.

**ჰოგენლოე და ბრატიანუ.**

პარიზის გაზეთები დიდ მნიშვნელობას აძლევენ იმ მოლაპარაკებას, რომელიც გამართულია ჰოგენლოესა და ბრატიანუს შორის.

**ევაკუაცია მინსკში.**

ევაკუაცია მოახდინეს ყველა დაწესებულებისა. ჩამოხსნეს დიდი ზარები. ეკლესიის ირგვლივ აუარებელი ხალხი მოგროვდა. ქალები სტიროდნენ. თანდათან ევაკუაციის გამო ქალაქის ქუჩები ცარიელდება.

**მუშათა მოწოდება.**

ტრედ-უნიონების კონგრესის მუშათა პარტიის წარმომადგენლებმა მოწოდება გამოსცეს ამ სათაურით: „თავისუფალ მოქალაქეთ“. მანიფესტში ნათქვამია, მოხალისეთა მოპატიჟებით ინგლისმა შექმნა დიდი არმია, რომლითაც შეუძლია კიდეც იამაყოსო. სულ ცოტა რომ ვსთქვათ, საჭიროა ყოველ კვირა 30.000 კაცის გაწვევა სამხედრო სამსახურში რომ გამარჯვება უეჭველად ჩვენი იყოს და ქვეყანა დავიხსნათ გერმანეთის ბატონობისა და ტირანისაგან. მანიფესტი მოუწოდებს ამხანაგ მუშებს ჩაეწერონ სამსახურში.

**სომხების გაჟლეტა.**

ამერიკელთა გამომძიებელმა კომისიამ ლონდონში დეპეშა გადასცა, ოსმალები შეუბრალებლად ჟლეტენ სომხებსო. ლორდ კრიუმ დეპუტატთა პალატაში განაცხადა სასუნის პროვინციაში რაც სომხობა იყო სულ ერთიანად ამოსწყვიტესო. სოფლები და ქალაქები მიწასთან არის გასწორებულიო.

**ბულგარეთში მღელვარებააო.**

იტალიის გაზეთების სიტყვით ბულგარეთში მღელვარებაა, იმ პოლიტიკურ ნაბიჯის გამო, რომელიც მთავრობამ გადადგაო.

—

დვინსკიდან გერმანელთა ჯარი ახლომახლო ადგილიდან უკან დახეულ იქმნა. მოწინაამდეგე ცდილობდა ნემანის მეორე მხარეს გადმოსულიყო, მაგრამ იერიში შეჩერებულ იქმნა.

მთელი ფრონტი გერმანელთა ჯარის ორიათას ორას ვერსის სიგრძეზე არის გაჭიმული.

სოფიიდან იტყობინებიან, სერბეთის და ბულგარეთის საზღვარზე მდგომ ჯარის შეტაკება უკვე დაიწყოო.

სერბეთის ქალაქ ნიშაში ევაკუაცია დაიწყოო. სცლიან სხვადასხვა დაწესებულებებს, ბანკებს. გამოაქვთ სიძველენი და არხივიო.

**საბერძნეთის მდგომარეობა.**

„Times“-ი ამბობს: ვენიზელოსის წასვლა მით უფრო დრამატიულია, რომ მოკავშირეები კიდეც შეუდგნენ ჯარების გადმოსხმას სალონიკშიო. ახალი მდგომარეობა მოითხოვს სწრაფ მოქმედებას და გადაწყვეტილებას. ნახევარ ზომების მიღება საქმეს არ უშველის. შეთანხმებამ თავდაპირველად უნდა გამოარკვიოს თუ რანაირია საბოლოო პოზიცია საბერძნეთის მეფისა. შემდგომ მოკავშირეებმა უნდა კარგად გაითვალისწინონ, თუ რა მნიშვნელობას აძლევენ ბალკანეთის ბრძოლის ასპარეზს.

—

საფრანგეთის პრესა ფიქრობს, საბერძნეთის კრიზისი გამოწვეულია ვილჰელმის ძალდატანებით. შფოთი და გართულება საბერძნეთის პოლიტიკაში შეაქვს გერმანეთის იმპერატორს, მაგრამ გაზვიადება არც ამას უნდაო. დეპუტატთა პალატის დათხოვნას ასეთ აწეწილ მდგომარეობაში მთავრობა ვერ გაბედავს, ხოლო აწინდელი პალატა ზაიმისის კაბინეთის აშკარა გერმანოფილურ პოლიტიკის წარმოებას არამც და არამც არ შეიწყნარებსო. სალონიკში მოკავშირეთა ჯარის გადასხმა ისეთ პირობებში ხდება, რომ საბერძნეთი ვერც შემდეგში შეგვიშლის ხელსაო. ოღონდ საქმე ისაა, რომ მოკავშირეთა ჯარი საკმაოდ დიდი უნდა იქმნას, რომ შესძლოს ბულგარეთ-ავსტრო-გერმანეთის ჯარს გაუმკლავდეს, საბერძნეთის დაუხმარებლადო.

**საფრანგეთ-ინგლისის საექსპედიციო კორპუსი.**

სალონიკში გადმოსხმული ინგლის-საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსი სალონიკიდან ოთხი კილომეტრის მანძილზე დაბინავდა.

**შვეიცარია და გერმანია.**

მოკავშირეებმა ვერავითარი პროტესტი ვერ მოახერხეს შვეიცარელებისთვის გამოეცხადებინათ, როდესაც ამათ ბამბეული საქონლის შეტანა არ მოიშალეს გერმანიაში. ერთი ის კი მოითხოვეს, ამ საქონელს სამხედრო დანიშნულება ნუ ექნებაო.

**ბელგრადის აღება.**

ბელგრადის აღების წინ ავსტრო გერმანელებს მსხვილი კალიბრის ზარბაზნებიდან დაუწყიათ სროლა და 22—25 ენკენისთვემდის არ შეუწყვეტიათ. მთელი უბნები განადგურებულა. აუარებელი მცხოვრებნი უმსხვერპლია ზარბაზნებს.

**სოციალისტები და სიძვირე.**

პარიზში სოციალისტები ყოველ ღონესა ხმარობენ, რომ როგორმე შეაჩერონ სანოვაგის სიძვირე, რაიც თურმე საოცრად იზრდება საფრანგეთში.

—

სოლუნსა და რუმინეთის შუა რკინისგზით მიმოსვლა შესწყდა.

**სერბეთის მდგომარეობა.**

სერბეთის ტერიტორიაზე ბრძოლა გართულდა. ბულგარეთი თავის მხრით უტევს. დუნაის ფრონტზე ამჟამად ბრძოლა სწარმოებს გრადიშტეს სამხრეთით და სმედერევის სამხრეთ-დასავლეთით. ხსენებული ქალაქები უკვე დასცალეს. სმედერევის მახლობლად სოფელი ლიპა დაჭერილია ავსტრო-გერმანელებისაგან. ბელგრადის მხრით მათ იერიში მიაქვთ სოფ. ველიმომრილუგზე და ტორლოვზე.

**ვილჰელმის დეპეშა ენვერ ფაშასთან.**

ვილჰელმი ვნვერ-ფაშას შემდეგი შინაარსის დეპეშას უგზავნის:

დიდად ვხარობ და ვამაყობ იმით, რომ ყველა მოწინაამდეგეთა შემოტევა მოგერიებულ იქმნა თქვენი ძლევა-მოსილი ჯარის წყალობით. გამოვსთქვამ ულრმეს მადლობას თქვენი ბრწყინვალე გამარჯვებისათვის. ჩვენი ძლევა-მოსილი ჯარის ასეთი თავგამოდებით ბრძოლის შემდეგ მოპირდაპირეს არ ძალუძს იმედი იქონიოს გამარჯვებისა. ნიშნად ჩემი თქვენდამი დიდი პატივისცემისა, გიძღვნით ჩემს უმაღლეს სამხედრო ორდენს „p ur le merite“-ს. ამის საპასუხოდ ენვერ-ფაშამ გაუგზავნა ვილჰელმს დეპეშა: დღეს აქ, გალიპოლის ფრონტზე, მივიღე დეპეშა თქვენი უდიდებულესობისა, სადაც თქვენ მაუწყებთ, რომ ჩვენი ჯარის გამარჯვებით მეტად გახარებული ბრძანდებით და ჩემდამი პატივის ცემისა მიძღვნით ორდენს „pour le merite“-ს. გიცხადებთ რა გულითად მადლობას, ვბედავ გთხოვოთ; სრულად დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ დარდანელი შემდეგშიაც არ დანებდება მტერს, და მუდამ უკუგდებულ და დამარცხებულ იქნებიან ისინი“.

## უკანასკნელი ფოსტა

ცნობილმა სახელმწიფო კაცმა, საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა დელკასემ დასტოვა თვისი პორტფელი. დეპუტატთა პალატაში ამ ამბავმა ცხარე შეკითხვა და კამათი გამოიწვია. ამას მოჰყვა დიდი აურ-ზაური და ხმაური. თავმჯდომარემ კრება შესწყვიტა.

—

„ტემპს“-ი სწერს, რომ დელკასეს წერილის თანახმად, დელკასეს წასვლა გამოწვეულია იმ უთანხმოებით, რომელიც ჩამოვარდნილა მასა და მინისტრთა საბჭოს შორის. ვივიანი და მისი კოლეგები ამოწმებენ, მინისტრთა საბჭოში უთანხმოებას არასოდეს თავი არ უჩენიაო.

—

28 სექტემბერს ბულგარეთის ორი დივიზია სერბეთში შეიჭრა, კნიაჟევაცას მახლობლად, მეორე რაზმი ბულგართა ჯარისა ვლასიონის მახლობლად შეესია სერბეთის ტერიტორიას. ორსავე ადგილიდან მომხდურები უკუ აგდეს.

—

ლებნოსში გადმოსხეს 15.000 იტალიელი. სალონიკში მოკავშირეთა ჯარების გადმოსხმა არ შეჩერებულა.

—

ბულგარეთში ახალგაზდები ვადის მოსვლამდე გაჰყავთ.

—

სტამბოლში ბრბომ გაანადგურა იტალიის საელჩო.

—

ინგლისის, საფრანგეთის და რუსეთის ფინანსთა მინისტრებმა შეთანხმების მოქმედება და თავიანთი რესურსები შეაერთეს, რათა გამარჯვებით დაამბოლოვონ დღევანდელი ომი.

—

სან-ფრანცისკოში შესდგა ზავის საერთაშორისო კონგრესი. რწმუნებულ სტარ იორდანას დაევალა სთხოვოს ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტს მოიწვიოს ქალაქ ვაშინგტონში ნეიტრალ სახელმწიფოთა კონფერენცია მშვიდობიანობის აღსადგენად.

—

იაპონიის პირველი მინისტრი ოკუმა ზავის საერთაშორისო კონგრესს მიმართავს ეპისტოლით, სადაც საყოველთაო მშვიდობიანობის დაწესება ფანტაზიად არის მონათლული მანამ, ვიდრე მილიტარიზმი არ მოისპობაო. მშვიდობიანობის იმედი განუხორციელებელია, ვიდრე იარსებებენ ცალკე ერები და პირები თავიანთ უპირატესობაში დარწმუნებულნი და ვიდრე ამ უპირატესობის დასამტკიცებლად ფიზიკურს ძალას მიმართვენო.

—

ლონდონში ცნობა მოვიდა, სერბეთის სატახტო ქალაქი მონასტირში იქნება გადატანილიო.

—

ფოთში 30 სექტემბერს, საღამოს 7 ს. და 45 წუთზე მიწა ინძრა.

# შტაბის დეპეშები

კავკასიის ფრონტი. ზღვის სანაპიროებში ოსმალთა რაზმები შეეცადნენ რუსთა მოწინავე ჯარებზე გამოელაშქრნათ, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ ხელით სასროლი ყუმბარებით. ვანის ტბის სამხრეთ ნაპირზე ოსმალებმა ვასტანის ღელისკენ წაიწიეს, თუმცა მათი ერთი რაზმის მწკრივი რუსების მიერ გაფანტულ იქმნენ.

პეტროგრადი, 30 ენკ. ოფიციალი. რიგის რაიონში, ბაგიტის ტბის აღმოსავლეთით დაიჭირეს გერმანელთა ჰიდროპლანი. დვინსკის ფრონტზე გერმანელთა ყოველი იერიში მოგერებულ იქმნა რუსების მიერ. შლოსბერგის რაიონში ბრძოლა რუსების საკეთილოდ დამთავრდა. ღამით გერმანელები შეეცადნენ დაკარგულ პოზიციის დაბრუნებას, მაგრამ ვერას გახდნენ. საარტილერიო სროლა არა სწყდება მთელს ფრონტის გასწვრივ. სოფ. გატეკის რაიონში, დემენის ტბის სამხრეთით, გერმანელებს სწადდათ ძველი მდგომარეობა აღედგინათ, მაგრამ აქაც ვერას გახდნენ. სოფ. გავრიცის აღმოსავლეთით გერმანელებმა ორჯელ გამოილაშქრეს რუსების საწინაამდეგოდ, მაგრამ ორჯელვე უკუგდებულ იქმნენ. დრისვიატის ტბის სამხრეთით ყელში რუსებმა მოახერხეს გადასვლა, თუმცა გერმანელები ცეცხლის წვიმით არ უსვენებდნენ. ნაროჩისა და ვიშნევსკის ტბების შუა მკვირცხლი საარტილერიო სროლაა. პრიპიატის სამხრეთით, სტირის მარცხენა ნაპირზე, რაფაელოვის ჩრდილოეთით, მტერი განდევნილ იქმნა სოფ. ალექსანდრიიდან, რედკა, ბელსკა, ვოლინსკიდან, ამასთანავე ტყვედ წამოყვანილია 5 ოფიცერი და 200 ჯარისკაცი, 2 ტყვიისმფრქვეველითურთ. კლევაკის ჩრდილო-დასავლეთით გერმანელებმა გამოილაშქრეს კირპილოვკიზე, მაგრამ მალე შეჩერებულ იქმნენ. გალიციაში,

...ტრიამზე, რუსებმა აიღეს სოფ. ბას... ...ეტეში. როგორც აქ, ისე სოფ. გა... ...ჩიქვიან, სასტიკი ბრძოლა არა სცხრე... ...ი. რუსთა ერთი ცხენოსნის ნაწილი ...ოვანიკიდან ფართოდ გამოვიდა და ...თეორიულად ეტაპი მტრის ჯარს და ...ობიდან თავ-გზა დაბნეული სწრაფად ...სოფელზე უკუაქცია. ასეთივე სამედ... ...ეთა ოსტრის მოსდა რუს ცხენოსნე... ...მიერ სოფ. კრიქოვოვოლკას, ბარ... ...ან და კოშილოვცებთან, ჩერფაკოვის ...ბრძოლ-დასავლეთის რაიონში.

ლემბერგი, 1 ოქტომბ. ოფიცია... ...დასავლეთ ფრონტი. გერმანელთა ...იონებმა რამდენიმე ჯუმბარა ჩამოა... ...სადგურ რემერსმოფზე, ფრიდრის... ...დების ჩრდილოეთით. იაკობშტად... ...რაიონში აგვალ-აგვალ სართოლო... ...სროლა გაცხოველდა. დვინსკის ...ოსტრო 30ენკ. ცეპელინი გადმოფრინ... ...და 50 ჯუმბარა ჩამოაგდო. აქამი... ...მსხვერპლი არ ყოფილა. დვინ... ...ფრონტზე თითქმის ყოველგან ...ლის ცეცხლი ტრიალებს. შლობ... ...ის სამხრეთით შარაგზაზე მკვირ... ...ბრძოლაა. სოფ. სარუგაბსთან ...ინავე რაზმთა შეტაკება. დვინსკის ...დრისვიათის ხაზზე გერმანელთა ...გან არაფერთი ნაცოდი არ მოუ... ...მათთვის. სავტოლეჯიოდ სროლა ...შემუშავდა. დაბა ნოვილის სამხრე... ...პრიპიაჯზე, რუსებმა აიღეს სოფ. ...სტრის მარჯვენა ნაპირზე, ...ვის ჩრდილოეთით, რუსის ...ნოსნებმა ...აიღეს ზალიადიო... ...ცულიაში, მდ. სტრიპზე. მტრი... ...რამდენჯერმე შეეცადენ ...მატარებელი, მაგრამ შეჩერებულ ...ნე. განსაკუთრებით ცხარე ხასია... ...ბრძოლამ სოფ. ბენიაკოვის ...ვიჭირვნიკთან, ტრემბოვილის და... ...ვილეთით.

ქავკასიის ფრონტი. ზღვის ნაპი... ...ზე იქაური სულიკობდენ რუსთა ...აზიერები შემოიარეს, მაგრამ თით... ...სროლით და ჯუმბარებით უკუ... ...ლიჯე. მდ. ოლთისის ქვემოდ ...ბხრიჩისთან მოწინავე რაზმთა შე... ...ვა. ვინკანის ლეღვისთან რუსებმა ...ამხედრთა ერთი რაზმი აფერ... ...ფრთ.

## საქართველოს დიდი ვარამი

II

...ამ წარსულში არა ერთი ამგვარი ...ამ მოვესწრო ჩვენს უბედურ თავს, ...ერთი ამგვარი აუცილებლად მოსა... ...ოვალეზოდ განსაკუთრებით კითხვა ...იანი.

...ესე უბედურება სწორედ იმაშია, ...ყველა ამ გარემოს მოსაშორებლად ...ე ის რადიკალური და ყველაზე ...ი ადვილი საშუალება, რომელიც ...ი აქვს პოლიტიკურად სხვაგვი... ...ის ერს.

...ონომიური ცხოვრების კანონების ...ეულება ჩვენ ხელში რომ ყოფილი... ...ი თავის ყველა ეს ამგვარი გა... ...ადვილად მოგვიშორებდით თავიდან.

...ი, როგორც ამ გარემოთან, ისე ბევრს, ...ერავს სამწილოს ჩვენს ...ნი სანბარმოებელი ...ი ვახდეგოთ ...რ სიმართლეს ...ს ცხადია, რომ ...ლის თვითმართველობის ჩვენს ხელში ...ოდ საქართველოს ...ი საჯაროდ ...მხრივ საზოგადოება ...ი მათ ...ე მისი ...ი ჩვენს ...

...ლავ კვალი ...თ ...ბალ. ჩვენ არამც თუ ...ი დამოუკიდებელი ...ი ...ელი ...ი ...ის ...ის ...ი ...ი ...ა ...ს ...

## მოსალმება კ. ბალმონტს

მოსულხარ შორით, ობოლ ქვეყანას,
მაგრამ სხივს ნახავ ლეკიონსოოვანს;
ვიცი, მოხვედი ჩვენს ამოცანას:
ქართველი ვერ შენის მბრძოლის ალამს,
მიტომ ვერც გამლევს შენ, ნათელ მგოსანს,
შენსავ შესაფერ მოტკბოდ სალამს!

დღეს შენი ერი სახელს ატარებს,
ამის შოლს ან სტანჯავს, ანუ ახარებს,
ხოლო ჩემი კი, ერთხელ განთქმული,
ჩრდილოს ქარისებ არის დანთქმული.
და თვის ხვანოდის დღეს შენ გაზარებს
რაც განუცდია ამაყ მთა-ბარებს...—

ამბობს: მწყურიან მეც სხვებრ სიცოცხლე!
ჩემს ვარსკ ის ბეჭებულს ვუშიზოდე ნანას!
კერძო „მე“ მქონდეს სხვასთან თანაზარს.
დ თუ კვლავ მნახავ შორის ქვეყანას,
მოგვჭერბმენ ზეიმით აღამს
თავისუფალი შენც თავისუფალს
ჩემი მგოსანი მოგიძღვნის სალამს.

**სანდრო შანშიაშვილი.**

დღრება იმაშია, რომ მოწინააღმდეგებს, იმას, ვინც ცდილობს შენ ქონება არ შეიძინო, ხელში კანონიერი ძალაც კი უპყრიავს. ქალაქის თვითმართველობას, როგორც ქალაქის მმართველს, ამ მხრივ ბევრი საშუალება აქვს ხელში და ადვილად შეეძლიან დაგვიშალოს და გადაგვქოლოს ვაჭრობა.

ამ ამიტომ მეტად სცდებიან ის ეგებატონები, რომელნიც ვითომდა დიდად მოსწყენთ სახსრის მოგვახსოვნებს ხოლმე ჩვენ, ამ მდგომარეობით გაცეცხლებულებს და გავებულებს, „პატრონებო, კულტურა, კულტურული წინსვლა, ქონებრივი ძალაა საჭირო“,—გვარიგებენ ეს ბატონები და ჩვენ ჩვენი მდგომარეობით გამოდის. დიახ! მართალია, ჩვენ არ ძრახავთ, მაგრამ მაგარია ის არის, რომ შენ სახლს იშენებ და სხვა შენს ამოგვიღებს კედელს ანგრევს, ან კედლის ამოყვანას გიშლის, ეს მარტო კულტურის წინსვლას კი არ თმოულობს, არამედ ყველა იმის გაფუჭებას, რაც გიშენის შენ მუშაობას—ამ **კულტურულ** მუშაობას. ჩვენ მარტო გზა-კი არ უნდა გვეკეთოდეთ, არამედ ყველა ისიც მოვიშოროთ, რაც გზის გაკვლევას გვიშლის.

იქნება ვისმეს ეგონოს, რომ ჩვენ მაზნელს და ბრძოლას ვქადაგობთ?! არა და არა!.. ჩვენ მარტო გვინდა აფხსნათ ჩვენი ძნელი მდგომარეობა და ავხსნათ, თუ რამდენად საჭიროა ჩვენი გარიბა თავიდან ასაშორებლად კანონმდებლობის —კანონის ძალის ქონებაო. უამისოდ, ვიმეორებთ, მეტად ძნელი—კაცის ძალისათვის ძნელი ასასრულებელი საქმე გვექნება წინ დაყენებული.

ხოლო კანონის დახმარებით ჩვენ შეგვძლოდ გავიადვილოთ თვით ის კულტურული გზა, რომლითაც შევიძლებთ ჩვენი მოსაგებლო უფლების ხელში ჩაგდებას. ეს აუცილებლივ საჭიროება დიდად ხანია ჩვენმა დაწინაურებულმა მოლოვაზმემ შეიგნეს და კიდეც აცნობეს, როგორი მდგომარეობენ ამ მხრივ საქმეს.

ჩვენი პატივცემული მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე და სხვები არა ერთხელ გვირჩევდნენ მივექცეთ მთავრობისათვის, რომ საჭიროა წვერებში რამდენიმე კანონის ძალით განსაზღვრულიყო სომხების, ქართველების, რუსების და სხვა ერთა შორის ... თანასწორად, ან ყოველ ერის ქალაქში მცხოვრებ რაოდენობის შეფარდებით.

იყო ისეთი აზრიც, რომ მთავრობისათვის ქართველებს მივმართოთ და ეთხოვათ საჭირო ჩვენი ქართველების რაოდენობის კანონის ძალით გამოკვლეულიყო და აღნიშნულიყო.

ჩვენმა საუბედუროდ ყველა ეს ვერ განხორციელდა მაშინ, ხოლო შემდეგში, დიდის იმედებით მეტის მეტად დაბრმავებულებს ვიგონ, ცენზის შეცვლას და თვითმართველობის გადემოკრატიულებაში ჩვენ მარტო ისეთ საპროცენტო ნაცვნებას ვხედავდით და ზღვიდან უცნობს ლუკმის ჩამოცდენას მივისებ-ნებს.

ამ ლოდინით-კი ჩვენ დრომ ეკარგავდა ის ცხე, რომლის დანერგვას ჩვენ ვხვეტოდით, უფრო და უფრო ღარიბდება.

ძროვა შევიგუროთ ემბაკს და დავიწყოთ მოქმედება. **დროა შევიგნოთ აღნიშნული აზრის განხორციელების საჭიროება.**

ეს ჩვენი საჭიროება კარგად ესმით მათ, ვისაც დიდს ხელში უჭირავთ თბილისის თვითმართველობა. იმათ კარგად

იციან, რომ **ჩვენ და მათ შორის უთანხმოების** უმთავრესი მიზეზი სწორედ **თბილისის თვითმართველობის მდგომარეობაში არსებობს.**

რასაკვირველია, ისინი რომ წინდახედულები იყვნენ და მომავლის სარკეში კარგა ჩაიხედონ, ადვილად მიხვდებოდნენ, რომ **მათთვის**, იმათ მომავლისათვის უკეთეს მალამოს წარმოადგენს ეხლავე **მათივე ინიციატივით** ამ უთანხმოების მიზეზის გაუქმება ან და შესამჩნევლად შემცირება. საუბედუროდ ჩვენს ქალაქში თბილი ადგილებით ისე აქვთ გამტკბარი გემო, რომ არც ისე ადვილად დაგვითმობენ თავიანთ სიმაგრეს.

არ დაგვავიწყდა და უფრო და უფრო მწვავდება ჩვენთვის ეს სავარამო საკითხი. ამიტომაა, რომ კვლავ ვთხოულობთ აუცილებლად მის გარდაწყვეტას.

გო—გი.

**კვირის დამატებით ფურცელში მოთავსებულ იქნება: ლექსი სანდრო შანშიაშვილისა, ფსიხოლოგიური დრამა ინ-ბანისა, ექვსი კარიკატურა დღევანდელს ყბად ახალებ საჭირბოროტო საკითხებზე და სხვა.**

„საქართველოს“ კანტორა აუწყებს პატივცემულ წლიურ ხელის მომწერთ, ვისაც კი ხვედრი ფული არ შემოუტანია, დააჩქარონ ფულის შემოტანა.
**პირველ ოქტომბრიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს 2 მ. და 70 კ. ერთი თვით—90 კ.**
კვირაობით გაზეთი დამატებითი ფურცლით გამოდის. ყოველი ნომერი ქალაქსა და ქალაქ გარედ 5 კ. ღირს.
რედაქციის კანტორა ერთხელ და სამუდამოდ აცხადებს, უმარკო წერილებს არ გამოიხსნის.
მოუწოდებთ ჩვენ მკითხველებს და თანამგრძნობთ დაგვეხმარონ და ფართოდ გაავრცელონ გაზეთი „საქართველო“
**მისამართი:** Тифлисъ, Московская, 4. Редакція „Сакартвело“ поч. ящ. 76.

## ახალი ამბავი

◆ **ცნობანი ქართველ გადმოხვეწილთა შესახებ.** თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა დ. ზ. ჭიაბრიშვილს, რომელიც ქართველ საზოგადოების მხრივ მონაწილეობას ღებულობს შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ თათბირში გადმოხვეწილთა მდგომარეობის მოსაწესრიგებლად: „ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ცნობებით, გადმოხვეწილ ქართველ მართლ-მადიდებელთა, კათოლიკეთა და მაჰმადიანთა რიცხვი დაახლოვებით უდრის: ბათომის ოლქში 24,500-ს, ართვინის ოლქში 30,000-ს, ახალციხის მაზრაში 1,500-ს, ახალქალაქის მაზრაში 3,000-ს, სოხუმის ოლქში 6,400-ს, სენაკის მაზრაში 1,500-ს, ზუგდიდისაში 2,000-ს. სულ 59,900 სული.

მათზე ზრუნავს მხოლოდ ქართული საქველმოქმედო საზოგადოება; სხვა ორგანიზაციები თითქმის არაფრით არ ეხმარებიან. საჭიროა გამოთხოვნილ იქმნას, რამდენადაც შეიძლება, დიდი თანხა, რომელიც უნდა გადაეცეს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას“.

◆ **დიდი სახალხო სეირნობა,** რომელსაც მართავს „ახალი კლუბის“ მამასახლისთა საბჭო წყალდიდობისა და მოუსავლობისაგან დაზარალებულ სოფლების სასარგებლოდ, ოთხი სექტემბრიდან გადაიდო თერთმეტისათვის.

◆ **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების კრება,** რომელიც დღეს უნდა გამართულიყო, გადაიდო სხვა დროისთვის, რადგანაც დღეს კ. ბალმონტი კითხულობს არტისტიულ საზოგადოების დარბაზში თვისს თარგმანს „ვეფხის ტყაოსნისას“.

◆ **სახალხო განათლების მინისტრმა** ნება დართო აფთიაქის თანაშემწეებს უნივერსიტეტის საფარმაცევტო კურსებზე ჩაეწერნენ წინასწარი სამი წლის სტაჟის მოუხდენლად, იმ პირობით კია, რომ სტაჟი მოთავებულ იქმნას ვიდრე პროვიზორის ხარისხის მისაღებ გამოცდაზე წარსდგებოდენ.

◆ **წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა კავშირი.** ამას წინად თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა დეპეშით სთხოვა წვრილ კრედიტთა საქმეების მთავარ გამგეობას, რომ კახეთის წვრილ კრედიტთა კავშირის წესდების დამტკიცება დააჩქარეთო. პირველ ოქტომბერს თავ. ჩოლოყაშვილმა პასუხი მიიღო, რომ თხოვნა შეიწყნარეს და წესდება დამტკიცებული არისო.

◆ **შეწირულება.** ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ მიიღო ი. მითაიშვილის მიერ შეკრებილი ჭიათურაში: ვაჟა-ფშაველას სახსოვრად სალიტერატურო ფონდის გასაძლიერებლად 60 მან. და ვაჟას შვილების აღსაზრდელად 130 მან.

◆ **ვაჟა-ფშაველას** დასაკრძალავად შემოვიდა სხვა და სხვა დაწესებულებათი და კერძო კაცთაგან 3.078 მან. დაკრძალვაზე დაიხარჯა ამ ფულიდან 1.879 მან. 37 კაპ. და გადარჩა 1,198 მან 63 კაპ. წერა-კითხვის საზოგადოების მიერ 30 სექტ. კრება იყო მოწვეული, რომელსაც უნდა დასწრებოდნენ წარმომადგენელნი იმ დაწესებულებათა, რომელთაც თავიანთი წვლილი ჰქონდათ შემოტანილი პოეტის ნეშთის დასაკრძალავად. კრებას უნდა გადაეწყვიტა, თუ რა საქმეს მოხმარდეს დანარჩენი 1.198 მან. 63 კაპ., მაგრამ კრება არ შესდგა.

◆ **ბალმონტის საღამო.** დღეს საღამოს ცნობილი რუსის პოეტი ბალმონტი არტისტიულ საზოგადოების დარბაზში წაიკითხავს ლექციას „ვეფხის ტყაოსნის“ შესახებ, შემდეგ წაიკითხავს რუსულ „ვეფხის ტყაოსანს“ თავის საკუთარ თარგმანს; დასასრულ ისევ ამ პოემის გმირთა დახასიათების შესახებ ილაპარაკებს.

◆ **ქართული წიგნების მოთხოვნილება აჭარაში.** სოფ. ზუნდაგის (აჭარაში) სახალხო სკოლის მასწავლებელი ს. ს. გოგიჩაიშვილი სწერს ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას, რომ სოფლის ხალხი ისე დიდად მოწყურებულია ქართულ წიგნს, რომ მოდიან ჩემთან და მოხოვენ,—წაგვიკითხე რამეო. მაგრამ კარგად მოგეხსენებათ ჩვენი სახალხო მასწავლებლების ხელმოკლეობა, სახალხო წიგნები არ მომეპოვება და მომეტებული ნაწილად ვერ ვაკმაყოფილებ მთხოვნელთ. ამიტომ ბ-ნი გოგიჩაიშვილი სთხოვს წ.-კითხვის საზოგადოების გამგეობას, რომ დაეხმარონ მას საჭირო წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით. საზოგადოებასთან არსებულმა სასკოლო სექციამ დაადგინა, სამი მანეთის წიგნები გაეგზავნოს ბ-ნს გოგიჩაიშვილს.

სასიკეთო საქმეს იზამენ ქართული რედაქციები და წიგნების გამომცემლები, საჭირო წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს მიაწოდებდნენ ბ-ნს გოგიჩაიშვილს შემდეგი მისამართით: Батумъ. Окружное Управленіе. Для передачи учителю Зундагской сельской школы С. С. Гогичайшвили.

◆ **ცეცხლი საბარგო ვაგონში.** 1 ოქტომბერს ღამით მცხეთასა და ქსანს შუა სახალხო მატარებლის № 9 საბარგო ვაგონში ცეცხლი გაჩნდა. სანამ ცეცხლი კარგად არ გაძლიერდა, ვერავინ გაიგო, შემდეგ-კი გვიანღა იყო; ვაგონი ყველა საქონლით სულ ერთიან დაიწვა. ამ ვაგონით თბილისის გაზეთები მიდიოდა, რომელნიც სხვა საქონელთან ერთად ცეცხლის მსხვერპლი გახდა. ხალხთაგან არავინ დაშავებულა. მატარებელმა დაიგვიანა.

◆ **საზოგადო კრება.** 18 ოქტომბერს დანიშნულია ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, რომელსაც განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინების გამგეობის მიერ წარსული წლის მოქმედებისა და ფინანსიური ანგარიში და მიმდინარე ნახევარი წლის მოღვაწეობის ანგარიში.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** კვირას, 4 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, სახალხო სახლში დანიშნულია სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს სარევიზიო კომისია და მიმდინარე საქმეები განიხილოს.

◆ **ხოლერა.** 30 სექტემბერს და 1 ოქტომბერს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერიანი 10 და ხოლერის ნიშნებით 3 კაცი. გარდაიცვალა ხოლერიანი 5 კაცი. გუშინ, 2 ოქტომბერს, ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 131 და ხოლერის ნიშნებით 8 კაცი.

◆ **გადამდები სენი.** გუშინ, 2 ოქტომბერს, ქალაქის საავადმყოფოში იმყოფებოდნენ: ქუნთრუშიანი 64, სახადიანი 54, საოფლიანი 37, ხუნაგიანი 18, ყვავილიანი 3 და მუცელაიანი 3 კაცი.

◆ **სურსათი.** თბილისში არის მოტანილი: ფქვილი 4 ვაგ., შაქარი 2 ვაგ., კარტოფილი 2 ვაგ., ხილი 2 ვაგ., შეშა 2 ვაგ., ნესვი 2 ვაგ., ნავთი 3 ვაგ., ღვინო 3 ვაგ., ბენზინი 1 ვაგ., ჩაი 41 ფუთი, თევზეული 472 ფუთი, კომბოსტო 118 ფუთი.

## პროვინციის ქრონიკა

**მ კ ვ ლ ე ლ ო ბ ა.**

სოფ. ქოდალოს მცხოვრებნი: მაჰმად ჰასან ოღლი, თავადი არჩილ აბაშიძე და დარაჯნი: მუსტაფა მაჰმად ოღლი და სოინომ მაშალ ოღლი სოფ. ქოდალოდან მოდიოდნენ დაბა ლაგოდეხში. გზად მათ თავს დაესხნენ შეიარაღებული პირები. სროლის დროს მოკლულ იქმნა ჰასან ოღლი, რომელსაც ჯიბეში ჰქონდა 100 მანეთი და იარაღი.

— ლელიანის მამასახლისი ვას. ლილიშვილი სახლში ბრუნდებოდა სოფ. ქვემო ბოლქიდან. მას თავს დაესხნენ ვიღაც უცნობნი, რომელთაც სროლა აუტეხეს. თავის მხრივ სროლითვე ლილიშვილმაც უპასუხა და მოჰკლა თავსდამსხმელთაგანი ვასო ცედეშვილი.

— **სოფ. ატოცში,** როგორც ქართლის სხვა სოფლებშიც, მღვდელ-მამასახლისგზირთა თავ-გასულობას საზღვარი არა აქვს. სოფელში წმ. გიორგის სახელობაზე აშენებულია ეკლესია. იგი ცნობილია ქართლში და ბევრი მლოცველიც ეტანება. მღვდელი არ უკადრისობს ვაჭრობა შიგ ეკლესიაშივე გამართოს ნატაბლარების გამო. ხშირია აყალ-მაყალი და აურ-ზაური.

# კ. ბალმონტი

დღეს საარტისტო საზოგადოების დარბაზში კ. ბალმონტი წაიკითხავს „ვეფხის ტყაოსნის“ ნაწყვეტის თარგმანს. თუ გავიხსენებთ ბალმონტის ვირტოუზობას, მის კალმის საოცარ მოქნილობას, რამაც რუსული სული ჩაჰბერა და ორიგინალს გაუთანასწორა როგორც შელლეს, ისე ედგარ პოეს და სხვა დანარჩენ მსოფლიო მგოსანთ, თუ გავიხსენებთ მის მკვირცხლ უნარს და ძლიერს ალღოს, რამაც დედა ენის კეთილ-ხმოვანებით ააზგერებინა არაბ-ინდოელ მოგვთა საღმრთო საგალობელნი, მასთან უხვს ნიჭს უცხო ენის სულსა და გულში ჩაწვდომისას და განსაკუთრებით აღმოსავლეთის სულთან მის პოეტურ სულის ერთგვარ ნათესაობას,—მაშინ დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ ბალმონტი ამ ჟამადაც სახელოვნად აუღებდა ალღოს აღმოსავლეთის შემოქმედების სასიქადულო სამკაულს და თუმც გვიან, მაგრამ მაინც დროზე, რუს საზოგადოებას გააცნობს არა ნაკლებ ხელთ საგოგმან მარგალიტებად გაგორებულ რუსთველის ჰანგსა. წინასწარვე დარწმუნებული ვართ ბალმონტის გამარჯვებაში. დღეს ქართველი საზოგადოება მთარგმნელ ვირტოუზის დასადაფნად გაეშურება...

დ. კასრაძე.

# მცხეთობა

1 ოქტომბერს, მცხეთობა დღეს, მცხეთაში მწირველი ბრძანდებოდნენ საქართველოს ექსარხოსი, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პიტირიმი და გორის ეპისკოპოსი ანტონი. ჰგალობდნენ ექსარხოსისა, სემინარიისა, მცხეთის დედათა მონასტრის და ადგილობრივ მგალობელთა გუნდნი. წირვა და გალობა ქართულს ენაზედ იყო. მიუხედავად ცუდი ამინდისა, მრავალმა მლოცველმა მოიყარა თავი ეკლესიასა და ეკლესიის გალავანში. ბძანდებოდნენ, სხვათა შორის, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანაშ...ბობის აღმასრულებელი თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი და მაზრის მარშალნი. ქუთაისიდან საგანგებოდ ჩამოვიდა დღეობაზე ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალი თავ. დ. ო. ნიჟარაძე, რომელიც იმ დღესვე დაბრუნდა ქუთაისს. წირვის შემდეგ ექსარხოსმა პიტირიმმა გრძნობით აღსავსე ქადაგება წარმოსთქვა. აგრეთვე მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესო...ბამ ხალხს დაურიგა დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის მიერ შედგენილი წიგნაკი ქართულს ენაზე, რომელშიაც აღწერილია მცხეთის ისტორია. შემდეგ ექსარხოსი პიტირიმი, ეპისკოპოსი ანტონი და პატივსაცემი სტუმრები ტაძრის წინამძღვრის მამა ჯალიაშვილის მიერ მიწვეულ იქმნენ საკათალიკოსო კარავში ჩაიზე და საუზმეზე. ხსენებული კარავი შესდგება სამი ოთახისაგან, რომლებიც ახლად შეკეთებულებია და მათ მოსაწყობად მაღალ ყოვლად სამღვდელო პიტირიმს გაუგზავნია საჭირო ავეჯეულობა.

მ.

# ქუთაისი

შეიძლება, ქუთაისიც ეღირსოს თავისს წყალსადენს, ელექტრონით განათებას და ელექტრონის ტრამვაის. როგორც ვიცით, ამ საქმეს დიდი ხანია ჰპირდებიან ქალაქს ინჟინერებ...ნი ქურდიანი, მამრაძე და დიასამიძე, მაგრამ სხვადასხვა დაბრკოლებათა გამო ჯერ-ჯერობით თვალსაჩინო არა გაკეთებულა-რა, ხოლო როგორც ამ ბოლო დროს ირკვევა, შესაძლებელია, წყალსადენს მაინც ვეღირსოთ ახლო მომავალში. ამ რამდენიმე დღის წინად ბ-ნი ქურდიანი იყო აქ და ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელთა და რამდენიმე სპეციალისტთან ერთად გამოი...ლია ნაქერალის წყაროები: წყალი მშვენიერი ღირსების აღმოჩნდა და აგრეთვე ბლომად. დღეში ეს წყაროები მისცემს ქალაქს 900,000 ვედრო სუფთა გემრიელ წყალს. თუ თითო სულზე 3 ვედრო წყალს ვიანგარიშებთ დღე-ღამეში, ქუთაისს ჯერ-ჯერობით მოუნდება 300 ათასი ვედრო წყალი; დანარჩენი 600 ათასი ვედრო კი, ბ-ნ ქურდიანის აზრით, სულ მცირე ფასში დაეთმობათ გზადაგზა სოფლელებს. ა... ...ანავე ეს წყაროები ელექტრონიც ...ალას მისცემს ქალაქს, ასე რომ ეს ძალა სრულიად საკმარისი იქნება არა მარტო ქუთაისის გასანათებლად, არამედ ახლო-მახლო სოფლებისაც.

დაწვრილებითი ტეხნიკურ პროექტს პირველ იანვრამდე წარუდგენს ბ-ნი ქურდიანი ქალაქის გამგეობას. პროექტი თუ მოწონებულ და დამტკიცებული იქმნა, მუშაობას ადრე შეუდგებიან.

რადგან ამ ჟამად ომის გამო ყველა ფასიანი ქაღალდების ფასი დაცემულია, ქალაქის გამგეობას აზრად აქვს, თავისი ობლიგაციები არ გაანაღდოს ჯერ, სანამ კრიზისი არ გადაივლის, არამედ დააგიროს რომელიმე ბანკში და იქიდან აღებული ფულით შეუდგეს მუშაობას.

ლ.

# ჩვენი წვრილმანები

**„ცოცხალი საქონლით მოვაჭრე“**

ასეთი „ვაჭრები“ კაი ხანია ეწვივნენ დასავლეთ საქართველოს.

მიზანში ამოიღებენ რომელიმე შეძლე ქართველს, მოსტაცებენ შვილს ან სხვა მახლობელ ნათესავს, ან თითონ მამას მოიტაცებენ და მერმე შეუთვლიან:

ან 5,000 მანეთი ან შენი შვილიო!

„ცოცხალ საქონლით ვაჭრობა“ ძალიან გახშირდა დასავლეთ საქართველოს დაბა-ქალაქებში.

აი, ამ ორიოდე კვირის წინ, როგორც გადმოგვცემს ჩვენი კორესპონდენტი, სოფ. ბანძაში ვიღაც არამზადებს გაუტაცნიათ ადგილობრივ ვაჭრის ეფრემ ატიაშვილის 17 წლის ვაჟი, იოსები, და განთავისუფლებისათვის ფული მოუთხოვნიათ.

ნეტა სად ვცხოვრობთ? რომელ საუკუნეში?

ნუთუ ის-ღა შეგვრჩა წარსულის „სოციალისტური“ ქადაგებიდან?

რომ რომელიმე ქართველს ორიოდე გროში დაუგროვდება თუ არა მაშინვე თავს დავესხათ, მოვსტაცოთ ცოლ-შვილი და ნაამაგარი ფული წავართვათ?!.

სად ვართ? ან რას ვაკეთებთ?

რას აკეთებს ადგილობრივი ადმინისტრაცია? ნუთუ არ სცნობს საჭიროდ ბოლო მოუღოს ქვეყნის არამზადობას—ამ საზიზღარ ხელობას?

რას აკეთებენ ადგილობრივი მკვიდრნი? როდემდის უნდა ისხდნენ გულ-ხელ დაკრეფილნი?

თუ ასე მივუშვით ხომ იმრავლა შანტაჟისტთა რიცხვმა!

ამას ხელს შეუწყობს მეტადრე ასეთი არეული დრო.

მოიგონეთ ის დრო, როდესაც ჩვენს ცხოვრებას ჩვენვე უვლიდით! და როგორ ვექცეოდით ამისთანა ყაჩაღებს...

დღესაც ასე მოვექცეთ.

ეკალი

# პრესა

„უტრო როსსიის“ კორესპონდენტს მოჰყავს საგულისხმო ცნობა გერმანეთის სესხის შესახებ, აი, რას ამბობს სხვათა შორის:

„ყველამ კარგად იცის, ვისაც კი ამ ომის განმავლობაში გერმანეთის სამეურნეო ნაწილისათვის დამშვიდებით თვალყური უდევნებია, რომ ამ ჟამად გერმანეთის ფინანსიურ დაუძლურებაზე ლაპარაკი მეტია და უსაფუძვლო. ამ ქვეყანას არა ერთხელ დაუმტკიცებია, რომ რამდენადაც გარშემო ავიწროებენ და რკალივით ეხვევიან, რამდენადაც შერიგების ჟამი ახლო მომავალში შეუძლებლად ხდება, იმდენად იგი დამშვიდებით და თავგამოდებით ეძიებს სახსარს ბრძოლის გასაგრძელებლად. ცნობილია, გერმანეთის ვაჭრობა-მრეწველობას დაეკეტა კარი და გასაქანი ალარსაით აქვს; მიუხედავად ამისა, გერმანეთის მარკის ფასს არ დაუწევია. მიზეზი ის გახლავთ, რომ საერთო გასაჭირში მთელი ხალხი იღებს მონაწილეობას და მთავრობას ხელს უმართავს; ასეთი მოქმედება ჭკუის მასწავლებელი და მისაბაძი მაგალითია. თითქმის მთელი პრესა, მთელი ხალხი, დაწესებულებანი, ყოველგვარი ორგანიზაციები აგიტაციას ეწეოდნენ სესხის ასაღებად შეეწყოთ ხელი მთავრობისათვის. ყველა ერთმანეთს შეელოდა. რეაქციონური იუნკრობა გა...თქვიფა პროგრესიულ მემარცხენეებში. კაცს უნდა თვალ-ყური ედევნებინა, როგორ ერთი მეორეს უსწრობდა და ყველანი სესხზე ხელს აწერდნენ. თვალყურს ვადევნებდი და ხელის მოწერა თანდათან იზრდებოდა. კაცი უნდა ბრმა ყოფილიყო, რომ ზოგიერთ სულელურ დეპეშისთვის პრესაში ყურადღება მიექცია და არ დაენახა, თუ ყოველ დღე რა რიგ იზრდებოდა ასეთი ხელის მოწერა. **ჰამბურგმა** პირველად 215 მილიონ მარკის სესხზე მოაწერა ხელი, მეორედ—390 მილიონზე და მესამედ—460 მილიონზე. **დიუსელდორფმა** პირველად—115,8 მილიონზე, მეორედ—280,8 მილიონზე და მესამედ—468,8 მილიონზე. მაინზე მდებარე **ფრანკფურტმა** პირველად—148 მილიონზე, მეორედ—328 მილ. და მესამედ—455 მილიონზე, და ასე ამ რიგად გერმანეთში რამდენი ქალაქიც არის, თვით უმნიშვნელოც კი, სესხზე 200—300 მილიონობით აწერენ ხელს. ასეთი სია ასიათასობით შეიძლება ჩამოითვალოს, რომ მკითხველი დარწმუნდეს, თუ რა რიგ ეხმარებიან მთავრობას. წარმოიდგინეთ მექარხნეები და რომელიმე ფირმის პატრონები კერძოდ 80,000 მარკაზე აწერენ ხელს და ასიათასებიანი ხომ აურაცხელია.

# წერილი სათლელიდან

(შავშეთი)

აგერ ოთხი თვე იქნება შავშეთში რომ ბინა დაიდვა ქუთაისის რაზმის ცხენოსანთა ასეულმა. მათი აქ ყოფნა ერთგვარი ნუგეშია ჩვენი ძმები ქართველი მაჰმადიანებისთვის. საერთოდ გულისყურით და შეგნებულად ეპყრობიან ასეულის ქართველი ოფიცრები და შეგნებული რაზმელები. შავშეთ-იმერხევში ჩამოდიან აგრეთვე საგანგებოდ გამოგზავნილი ქართველები და ფულით თუ სურსათით შ...ლიან დარბეულ მოძმეებს. ყველა ეს ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ახდენს ქართველ მაჰმადიანებზე და განამტკიცებს ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებ შორის საერთო ქართველურ გრძნობის ერთობას. როდესაც ასეთ კეთილ საქმეს საძირკველი ეყრება და ას-წლობით დაშორებული ორი ღვიძლი ნაწილი ერთი მშობლიური მთელისა ერთმანერთს უახლოვდება და ერთი მეორეს ეხორცება, მეტად სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს ზოგიერთ შეუგნებელ ქართველის მოქმედება, რომელსაც შეუძლია გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ამ ახალ დაწყებულ საქმეს. საჭიროა ყოველი ცუდი ნაბიჯი და საქციელი, ვინც გინდ იყოს იგი, გამომზეურდეს, რომ დასაძრახი საქვეყნოდ დაიძრახოს და მავნებელი საქციელი დაიტუქსოს და გადავარდეს. საქმე აი რაა. ჯარის სამოქმედო რაიონებში შარა-გზების შესაკეთებლად თუ ახლების გასაყვანად სოფლელებს ერეკებიან. არც თუ ბევრს ანგარიშს უწევენ ამ შემთხვევაში სოფლელების ნება-სურვილს. სამუშაოდ გაყვანილებს მცირე ხელფასსაც აძლევენ. მიღებულ ბრძანების თანახმად ქართველ ცხენოსანთა ასეულის უფროსმა გაგზავნა ექვსი რაზმელი „ურიადნიკ“ გაბრიელიანცის მეთაურობით სოფლებში, რომ თითო სოფლიდან რვა-რვა კაცი სამუშაოდ გაეყვანათ. რაზმელების ამ პატარა გუნდს ხსენებული გაბრიელიანცის მეთაურობით, სჩანს, საქმისთვის სხვაფრივ შეუხედნია და მრავალი უბედურება თავდატეხილ ხალხზე ხელის მოთბობა მოუსურვებია. მარტო ერთი სოფლიდან სამოციამდე კაცი წაასხეს და გზა და გზა ვაჭრობა გამართეს. ზოგს ხუთი მანეთი დააძვრეს, ზოგსაც ათი. ვისაც ფული აღმოაჩნდა ყველამ თავი გაინთავისუფლა და შინ წავიდა. დარჩენ, ვისაც სალსარი არ ებადა. ამათაც იფიქრეს, ალბად სამუშაოდ გასვლა სავალდებულო არ ყოფილაო, რაკი სასყიდელის გამომღებთ შინ ისტუმრებენო. ამ გუნდის მოქმედებაში აშკარა ხრიკი და ანგარება დაინახეს და მიტომაც დანარჩენებიც ღამე თავ-თავიანთ ოჯახისკენ გზას გაუდგენ. როდესაც ხალხი შემოეცალათ, რაზმელებმა გასწიეს საბოქაულოში და იქ მოახსენეს, ხალხი არ დაგვმორჩილდა და გზიდან გაგვექცაო. ბოქაული საქმის გამოსაძიებლად გაეშურა. ცხენოსანთა ასეულის უფროსმა მას თან გამოაყოლა შეგნებული რაზმელები. ბოქაული რაზმელებითურთ სოფელში იმ დროს ჩავიდა, როდესაც ხალხი ჯამეში იყო თავმოყრილი, ბოქაულიც ჯამეს მიადგა. როცა შეიტყვეს თუ რაში იყო საქმე, ხალხიდან გამოვიდა ორი მოწინავე კაცი და ყველაფერი დაწვრილებით მოახსენა ბ-ნ ბოქაულს. შესჩივლეს ბოქაულს ასეთი უკანონო მოპყრობა გაბრიელიანცის მეთაურობით ჩამოსული გუნდისა. საქმის გამოსარკვევად ასეულის ოფიცრებმა თავი მოუყარეს სოფლელებს, მათ გაამწკრივეს ასეული და უთხრეს სოფლელებს ხელი დაედოთ იმ პირებზე, ვინც მათ ფული დასტყუა. სოფლელებმა ყველა გამოიცნეს და ხელი დაადეს შემდეგ რაზმელებს: ბესურა ად—იას, ბოკ. ავ—იანს და ა. კორ—იას. ამათ ჯიბეში აღმოაჩნდათ სამას მანეთამდე, რომელიც სოფლელებს დაუბრუნეს. როგორც გამოირკვა, გაცილებით მეტი ფული ჰქონიათ წამოღებული; სჩანს დანარჩენის გადამალვა მოუსწრიათ.

ამ სამმა კაცმა ჩირქი მოსცხო მთელ ასეულს, რომლის ფრიად რიგიანი და შეგნებული საქციელი ქართველ მაჰმადიანების გულს მალამოდ ეცხებოდა. გზააბნეული და მახინჯი პირები სამწუხაროდ ყოველ კრებულში მოიპოვება.

და რად გონია ორი-სამი კაცის საქციელით შეიძლება ჩირქი მ...ავალ ას კაცს მოეცხოს და საერთო საქ...ც დაბრკოლდეს, ამიტომ საჭიროა ფრთხილად ყოფნა და გამორკვევა თუ ვინ რა ზნისაა, რომ თვალყური ადევნონ ამ მხრივ სახიფათო პირებს და თავის დროზედ გააქრონ მათი მავნე საქციელი. ვისურვოთ, რომ ასეთი შემთხვევა პირველი და უკანასკნელი ყოფილიყოს.

**შავშეთში მყოფი ქართველი.**

## დაჭრილი და ავადმყოფი ჯარისკაცნი.

თბილისის ლაზარეთში იმყოფებიან შემდეგი ქართველი ჯარისკაცნი: ჩაფიძე სერგი, ნებიერიძე ნესტორ, გაგლოშვილი ლავრენტი, მერაძლიშვილი გიორგი, დარჩია პეტრე იოსების ძე, გელაშვილი იოსებ ივანის ძე (პრაპორშჩიკი), გელენიძე ეფრემ.

ალექსანდროპოლის ლაზარეთში იმყოფებიან: ხეცურიანი ლავრენტი ივანესძე, ჭიჭინაძე გიორგი პავლეს ძე, ბასილაშვილი ნიკოლოზ იოსების ძე, მოსესოვი გეორქ მერქოს ძე, ჯანაშვილი ნიკოლოზ ივანეს ძე, ჯერენაშვილი იაკობ მალაქიას ძე, შეყრილაძე უფლისა იოსების ძე, ჯანგურია იოსებ ლუკას ძე (ეს უკანასკნელი გააგზავნეს ეკა... ნოსლავის ლაზარეთში), კიბაბიძე თედორე გიორგის ძე, მელაშვილი დიანოს ანდრიას ძე, გორდელაძე ანთიმოზ ალექსისძე, ტოტოშვილი ვარლამ სიმონის ძე, ცაგარეიშვილი გიორგი ილარიონის ძე, ჯანგვალაძე ანტონ ივანეს ძე.

# ტელეგრამები

**ათინა**, გაზეთი „ესტერია“ სწერ... სერბეთის მთავრობამ აუწყა საბერძნე... თის მთავრობას ბულგარეთის თავდასხ... მის ამბავი, და სურს იცოდეს თუ რ... ნაირ პოზიციას დაიჭერს საბერძნეთ... არსებულ შეთანხმების ხელშეკრულებ... მიხედვით. ცნობა, საბერძნეთის მთა... რობა შემდეგ თეზისით უპასუხებს: ... შემთხვევაში მოსტანი არ არის ფედ... რის კაზუსი (კავშირის პირობა), რადგა... ნაც ხელშეკრულობა მარტო ბალკანეთის ნახევარ კუნძულს შეეხებოდა და მოკ... რიებითი ხასიათი ჰქონდა, მაშინ როდე... საც ბალკანეთში დაწყებული ომი საერ... თო ევროპიულ ომის ეპიზოდად გად... იქცა. სერბეთმა ბულგარეთთან ურთ... ერთობა შესწყვიტა იმავე დროს, რა დრ... საც შეთანხმების სახელმწიფოებმა შ... წყვიტეს ურთიერთობა ბულგარეთთან. რადგანაც თავისი ძალები ხელშეუხებე... ლი ყავს, საბერძნეთს შეეძლება საზ... როების დროს დაიცვას საერთო ინტ... რესები; პირიქით, ომში რომ ჩარეულ... ყო, ეხლანდელ პირობებში, საფრან... თი ვერ შესძლებდა სერბიისთვის სამ... ხური გაეწია.

**ლონდონი**, 1 ოქტომბერი. ბეჭდვი... სიტყვის ბიურო: გუშინ საღამოს გე... მანეთის ცეპელინები ლონდონის ე... ნაწილს თავს დაესხნენ და გადმოყა... რამოდენიმე ცეცხლ-წამკიდი ყუმბარა, რამაც საკმაო ზარალი მიაყენა იჟაურ... ბას. აქა-იქ გაჩენილი ცეცხლი მ... ჩააქრეს. არც ერთი საზოგადოებრ... დაწესებულება თუ შენობა არ დაზია... ბულა. ყუმბარებმა იმსხვერპლეს ... ქალი და ექვსი კაცი. დაშავდა 34.

**პარიზი**, 1 ოქტომბერი. გუშინ შა... ტიერზე გამოჩნდა „ცეპელინი“, რომ... მაც 5 ყუმბარა ჩამოჰყარა. ყუმბარ... ზიანი არ მოუტანიათ.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**


ამიერ-კავკასიის რ...ინის გზის მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათი...)

**თბილისში მოდის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან | 12 ს. 54 წ. |
| № 4 | ბათომიდან | 5 ს. 55 წ. |
| № 5 | ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. 41 წ. |
| № 10 | ბათომიდან | 9 ს. 51 წ. |
| | ჯულფიდან | 6 ს. 53 წ. |
| | ბორჯომიდან | 7 ს. 25 წ. |
| | „ საგარ. | 10 ს. 28 წ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ | 1 ს. 45 წ. |
| № 4 | ბაქოსკენ | 7 ს. 3 წ. |
| № 6 | ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. 8 წ. |
| № 9 | ბათომისკენ | 8 ს. 55 წ. |
| | ჯულფისკენ | 10 ს. 23 წ. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. 29 წ. |

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზ...ები: „საქართველ... „თანამედროვე აზრი“, „ეშ. მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზ... სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და ... დება ახლად გამოცემული წიგნი ა. ალდონისა **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუს... ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბეგლარ ... პირელისა, **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვადასხვა ... თული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფ... წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифли... почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

**კანტორის ადრესი:** Ольгинская 6.

თევზის მრეწველნი

ძმ. მეგვინეთუხუცესები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.**

განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ, მაილ...ის-შვილ“, ... წველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „მე... ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ... გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუს... და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.